თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

ქ. თელავი

N 30
28/05/2019

30-09-4-201905281912

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „World Vision საქართველოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

**1.** მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალს „World Vision საქართველოს“ (ს/კ 203844251) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს რუსთაველის გამზ. N93-ში მდებარე N1 შენობა-ნაგებობის I სართულზე არსებული 93.65 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი 53.20.47.214).

**2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო